ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ივნისი_____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ------ ივნისის №---------- ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონების (გარე განათების კონსტრუქციის (ბოძი) წერტილები) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორულ კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (04.03.2022 წლის №06/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს შეადგენს 220.0 (ორას ოცი) ლარს.

მუხლი 3. სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტმა" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978) სარგებლობაში გადაცემული 44 (ორმოცდაოთხი) ერთეულ გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილი გამოიყენოს, საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად, 1 (ერთი) ერთეული კაბელის გატარებისათვის, უსაფრთხოების ნორმების და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის ---- ივნისის
№ ------ განკარგულების დანართი

სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978)
პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მისამართი	ქონების დასახელება	გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილების რაოდენობა	საკადასტრო კოდი
1.	ქალაქი ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა №10 (ყოფილი სევასტოპოლის ქუჩა №21)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	3	03.00.078
2.	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №16	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	9	03.00.086
3.	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №2	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	4	03.00.048
4.	ქალაქი ქუთაისი, ეგნატე ნინოშვილის №165-ის მიმდებარედ (ყოფილი ნოდარ დუმბაძის ქუჩა)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	4	03.00.054
5.	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №35, №39, №41	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	6	03.00.039
6.	ქალაქი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა №28-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	7	03.00.042
7.	ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №40	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	3	03.00.072
8.	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №8-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	4	03.00.086
9.	ქალაქი ქუთაისი, მიხეილ ბუხაიძის ქუჩა №4	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.077
10.	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №2ბ-ს სამხრეთით	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.061
	სულ		44	

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა სააქციო საზოგადოება „სილქნეტის" მომართვები (17.04.2024 წ. N355/14-6; 17.04.2024 წ. N356/14-6;18.04.2024 წ. N364/14-6; 07.05.2024 წ. N423/14-6; 16.05.2024 წ. N453/14-6; 15.05.2024 წ. N450/14-5; 11.06.2024 წ. N522/14-6; 14.06.2024 წ. N538/14-6; 17.06.2024 წ. N561/14-6 და 17.06.2024 წ. N562/14-6), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციების (წერტილი) იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას, საკომუნიკაციო ქსელის (საჰაერო) მოსაწყობად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონების 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა.

ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (04.03.2022 წლის №06/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 220.0 (ორას ოცი) ლარს. სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტმა" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978) სარგებლობაში გადაცემული 44 (ორმოცდაოთხი) ერთეულ გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილი გამოიყენოს, საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად, 1 (ერთი) ერთეული კაბელის გატარებისათვის, უსაფრთხოების ნორმების და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი